# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №122

## 2018 წლის 12 მარტი

## ქ. თბილისი

## „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

**1. სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნებული ინფორმაციების ნუსხაში (დანართი №2):**

**ა) მე-19 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ი) საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შიდასაუწყებო ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ ქვეყნის თავდაცვის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სამოქალაქო უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროებში;“;

**ბ) 27-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 28-ე მუხლი:**

„**მუხლი 28**. ინფორმაცია სამოქალაქო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმების, ეროვნული სიტუაციური ოთახის პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკური აღჭურვის, საგანგებო და საომარი მდგომარეობის შედეგად წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციის მართვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების, კონკრეტული პროგრამების დაფინანსების, თავშესაფრების მოწყობის, კონკრეტული ტერიტორიიდან მოსახლეობის ევაკუაციისათვის საჭირო ღონისძიებების/გეგმებისა და სახელმწიფო მატერიალურ რეზერვებში მატერიალურ ფასეულობათა დაგროვებასთან/მიწოდებასთან/შეცვლასთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიებების შესახებ.“.

**2. იმ უფლებამოსილი პირების ნუსხის, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალურ დაშვებას უზრუნველყოფენ (დანართი №3) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.“.

**3. იმ უფლებამოსილი პირების ნუსხის, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების კომპეტენცია (დანართი №4):**

**ა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი, მისი მოადგილეები

და სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელები.";

**ბ) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„17. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დეპარტამენტების დირექტორები, მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები.".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**